PDF Eraser Free

დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ-კოლეჯი ,,მერმისის“ მიერ ,,გრაფიკული დიზაინის შესრულების “ საშუალო საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ

ექსპერტთაჯგუფისწევრები

თავმჯდომარე:ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

წევრები:

ლელა მაისურაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ- კოლეჯი ,,მერმისი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

საერთო მიმოხილვა

სსიპ კოლეჯი ,,მერმისის" მიერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოდგენილი იქნა განაცხადი „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ საშუალო პროფესიულ-საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ.

ცენტრის დირექტორის **№MES 6 22 0000007569** (11.01.2022წ.), ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასებების მიზნით, განახორციელოს ვიზიტი სსიპ - კოლეჯში „მერმისი“ 2022 წლის 31 იანვარს , მისამართზე: ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის ჩიხი №9 -ა.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. შედგა განრიგი, რომლის მიხედვით განხორციელდა ვიზიტი.

ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, ,ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, სასწავლო პროცესის მენეჯერს. ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის ვიზუალური დათვალიერება ,კერძოდ: მატერიალური რესურსების, სასწავლო გარემოს , ბიბლიოთეკის და სხვ. შედგა გასაუბრება პროგრამის როგორც დარგობრივი მოდულების, ასევე ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებთან. ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე დაწესებულებამ გამოავლინა მიმღებლობა . ზოგადად, ადმინისტრაციული წარმოების პროცესმა ჩიარა მშვიდ,თანამშრომლობით გარემოში.

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
არ გამოვლენილა

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

არ გამოვლენილა

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IX.სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1.(4) განაახლოს სასწავლო ელექტრონული რესურსები (ლინკები), შექმნას საკუთარი ადაპტირებული საგანმანათლებლო რესურსების ბანკი, მოახდინოს უცხოენოვანი სასწავლო რესურსების თარგმნა.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გაასწოროს ტექნიკური და ბეჭდვითი უზუსტობები .

2.2.1(1) პროგრამის განხორციელების მდგრადობის მიზნით, დაწესებულების მიერ მოხდეს პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებების მოქმედების ვადის გადახედვა , ცვლილებების დროული ასახვა მინიმუმ პროგრამის განხორციელების ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	,,გრაფიკული დიზაინის შესრულება''
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ციფრულ ხელოვნებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	სსიპ კოლეჯი ,,მერმისი" დირექტორის 2019 წლის 31 მაისი ბრძანება N 04-164; სსიპ კოლეჯი,,მერმისი'' დირექტორის 2021 წლის 22 დეკემბრის ბრძანება N 04-417.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის გამზ. ჩიხი N 9ა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	143
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	173
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ექსპერტთაჯგუფისშეფასება პროგრამაზემოთხოვნილიპროფესიულსტუდენტთაზღვრულირაოდენობისშესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 სტუდენტი; ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში;მის:ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის გამზ. ჩიხი N 9ა
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	40 სტუდენტი; არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში;მის:ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის გამზ. ჩიხი N 9ა

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულებისმიერსტანდარტისსაბოლოოშეფასება)	(ექსპერტებისმიერსტანდარტისსაბოლოოშეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	შეესაბამება	შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	შეესაბამება	შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სსიპ -კოლეჯი ,,მერმისის“ დირექტორის 2020 წლის 10 თებერვლის N 04-44 ბრძანების ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესის“ თანახმად, დაწესებულება პროგრამის დამატებას ახორციელებს პროგრამის ინიცირებისა და მიზანშეწონილობის დადგენით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის ,, გრაფიკული დიზაინის შესრულების „ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების სწავლის შედეგების ინტეგრირებული პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთების ‘’ მიხედვით, კოლეჯი ეყრდნობა საკუთარ გამოცდილებას კომპიუტერული გრაფიკოსის სპეციალობის კადრების მომზადებაში, შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსის არსებობას , შრომის ბაზრის კვლევის შედეგებსა და კარიერული დასაქმების შესაძლებლობებს.

დაწესებულება დაეყრდნო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგებს, ასევე დასაქმების სააგენტოების (WWW. HR.GOV.GE WWW.JOBS.GE,WWW. CV24.GE, WWW. IPOVE.GE) ვებგვერდებზე განთავსებული ვაკანსიების მონაცემებს, რომელთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი- კომპიუტერული გრაფიკოსის სპეციალობაა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მიზანშეწონილობის დასაბუთების დიკუმენტის მიხედვით, ინტეგრირებული პროგრამის დამატების ერთი-ერთი არგუმენტია -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების სწავლის შედეგების ინტეგრირებით საბაზო განათლების მქონე ახალგაზრდების კარიერული წინსვლის შესაძლებლობა და პროფესიის დაუფლებასთან ერთად სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათნაბრებული დოკუმენტი-ატესტატის მიღების შესაძლებლობა.

დაწესებულების მისია *(,,წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაში შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური და სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადების გზით.*”) და სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთი მიზანი და მისი შესრულების ინდიკატორი(*2027 წლისთვის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების განვითარება და ინტერნაციონალიზაცია)* შესაბამისობაშია პროგრამის განხორციელების დასაბუთებასთან. შესაბამისად, დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, ეფუძნება დასაბუთებას და შეესაბამება მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

  პროფესიულ - საგანანმანათლებლო პროგრამაზე,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელების შემთხვევაში, დაშვების წინაპირობა არის სრული ზოგადი განათლება. აღნიშნული პროგრამის ინტეგრირებული სასწავლო გეგმით განხორციელების შემთხვევაში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის საბაზო განათლება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
რომელიც შეესაბამება 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N170/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საშუალო პროფესიულსაგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესსა და პირობებს. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტა სტატუსის მოპოვების პროცედურები.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

დაწესებულების დირექტორის მიერ 2018 წლის 20 ივლისის N 04-375 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სსიპ-კოლეჯი ,,მერმისის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“, რომლის თანახმად ,საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას, ადამიანური და მატერიალური რესურსის რაოდენობას და მის სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას.

აღნიშნული წესის მიხედვით, პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ხდება A,B და C სასწავლო გარემოში სამუშაო ადგილების რაოდენობის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის, საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსისა და მოდულების განმახორციელებელი პირების რაოდენობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულებას პროგრამის განხორციელების განაცხადთან ერთად ,წარმოდგენილი აქვს „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროგრამაზე მოთხოვნილი კვოტის განსაზღვრის დოკუმენტი, რომლის მიხედვით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს **20 სტუდენტს ერთ ცვლაში,** ხოლო **ორ ცვლაში 40 სტუდენტს როგორც არაინტეგრირებული, ასევე ინტეგრირებული პროგრამისათვის.** სტუდენთა კვოტის განსაზღვრისას დაწესებულებამ გაითვალისწინა კოლეჯში არსებული რესურსი : გრაფიკული დიზაინის შესრულების AB ინტეგრირებული კომპიუტერული სასწავლო სახელოსნოს გარემო,

AB სასწავლო ინტეგრირებულ გარემოში სამუშაო ადგილების რაოდენობა;

Fablab-ში (C გარემო) სამუშაო ადგილების რაოდენობა;

ხატვის ოთახში სამუშაო ადგილების რაოდენობა;

ზოგადი ინტეგრირებული მოდულებისათვის განკუთვნილი სივრცეები:

ა) ქიმიის ლაბორატორია (AC გარემო) და მასში სამუშაო ადგილების რაოდენობა;

ბ) ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორია (AC გარემო) და მასში სამუშაო ადგილების რაოდენობა;

გ) გეოგრაფიის აუდიტორია (A გარემო) და მასში სამუშაო ადგილების რაოდენობა;

არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი, საერთო, საერთო პროფესიული და კონცენტრაციის პროფესიული მოდულების კვირეული დატვირთვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ინტეგრირებული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი, ზოგადი ინტეგრირებული და პროფესიული მოდულების კვირეული დატვირთვა;

პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის რაოდენობა;

კოლეჯის „ვებტექნოლოგიების“, „სასტუმრო მომსახურების“, „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი ინტეგრირებული მოდულების კვირეული დატვირთვა.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, როგორც საერთო პროფესიული და გრაფიკული დიზაინის შესრულების კონცენტრაციის მოდულებისათვის, ასევე ზოგადი მოდულებისთვის და ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისთვის. დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს ჩარჩო დოკუმენტში არსებული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია პროგრამის განსახორციელებლად. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო რესურსები - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ ინტეგრირებული პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა. საერთო პროფესიული მოდულის - „დაზგა-დანადგარებთან მუშაობა“ და გრაფიკული დიზაინის შესრულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
კონცენტრაციის მოდულების - „ვექტორული გამოსახულების შექმნა და დამუშავება (Corel DRAW)“ და „PDF დოკუმენტების დამუშავება (Adobe Acrobat DC Pro)“ სასწავლო რესურსების ჩამონათვალში, ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული რესურსების გარდა, მითითებული იყო ლინკები , რომელიც არ იხსნება , ასევე ზოგიერთ ლინკზე განთავსებული რესურსი საჭიროებდა ადაპტირებას და თარგმნას ქართულ ენაზე.

პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულების ფარგლებში მასწავლებლებს შექმნილი აქვთ და პრაქტიკაში იყენებენ ადაპტირებულ რესურსებს, შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით (დარგის განვითარების მზარდი ტენდენცია და საგანმანათლებლო სფროში უახლესი სასწავლო რესურსების გაჩენა) განაახლოს სასწავლო ელექტრონული რესურსები (ლინკები), შექმნას საკუთარი ადაპტირებული საგანმანათლებლო რესურსების ბანკი, მოახდინოს უცხოენოვანი სასწავლო რესურსების თარგმნა.

გრაფიკული დიზაინის შესრულების კონცენტრაციის მოდულში ,,ბეჭდვამდელი სამუშაოების შესრულება'' მიდგომები სწავლების და შეფასების ორგანიზებისთვის შედეგი-4 ის სწავლება-სწავლის მეთოდის ჩანაწერში უზუსტობაა, ამოსაღებია,,დისტანციური სწავლება“,რადგან სწავლის შედეგი მიიღწევა პრაქტიკის ობიექტზე. დაწესებულების განმარტებით, აღნიშნული ტექნიკური ხასიათის შეცდომაა. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გაასწოროს ტექნიკური და ბეჭდვითი უზუსტობები .

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

საგანმანათლებლო პროგრამას ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ არჩევითი მოდულები არ აქვს;

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

სსიპ კოლეჯი ,,მერმისის“ ,, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 10 თებერვლის N 04-44 ბრძანების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება ‘’ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ 2019 წლის 31 მაისს N 04-164 ბრძანებით, ცვლილილება : ბრძ. N 04-417; 22.12.2021.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ შემუშავებულია ,,ციფრული ხელოვნების“ ჩარჩო დოკუმენტის ერთ-ერთი კონცენტრაციის საფუძველზე. სწორედ ამ კონცენტრაციის სახელწოდების იდენტურია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ (ინტეგრირებით და ინტეგრირების გარეშე) შემუშავებულია ,,ციფრული ხელოვნების“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე (სარეგისტრაციო ნომერი: 02122-პ) და მისი ერთერთი კონცენტრაციაა. ასევე, შემუშავებულია 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესის და პირობების შესახებ“ საფუძველზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს პროგრამის ძირითადი დოკუმენტს, მოდულებს და სასწავლო გეგმას (ინტეგრირებული პროგრამისთვის და ინტეგრირების გარეშე). პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. მოდულის ,,ქართული ენა A2" და,,ქართული ენა B1" გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლების შერჩევაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესისა და პირობების ''28-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე, აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით,,სსიპ კოლეჯი-მერმისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება" დამტკიცების შესახებ" – (N 04-164; 31.05.2019; N 04-417; 22.12.2021);
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების ,დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი"-(N04-44; 10.02.2020);
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით ,, სსიპ-კოლეჯის ,,მერმისი" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი''(N 04-375; 20.07.2018);
- დაწესებულების მისია და სტრატეგიული გეგმა (N 04-64 ; 24.02.2020; N04-28; 16.02.2021);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება" რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადიგანათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგი მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- დაწესებულების ანგარიში შრომის ბაზრის ჩატარებული კვლევის შესახებ;
- დაწესებულების წარმომადგნელებთან ინტერვიურირებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.2საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

სსიპ კოლეჯ „მერმისის“ საკუთრებაშია „გრაფიკული დიზაინის შესრულების “ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსები, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით და ვიზიტის ფარგლებში ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით. პროგრამის ზოგიერთი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას დაწესებულება გეგმავს პრაქტიკის ობიექტებზე, კერძოდ, მოდულებისათვის:

,,ბეჭდვამდელი სამუშაოს შესრულება“ და ,,გაცნობითი პრაქტიკა“დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს ***,,ფავორიტი სტილთან*** ‘’(20.12.2021) ,რომელიც უზრუნველყოფს 20 პროფესიული სტუდენტის მიღებას და ***შპს ,, თბილისელები პრინტთან***’(03.06.2019), რომელიც უზრუნველყოფს 20 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ორივე პრაქტიკის ობიექტთან დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებს სწავლის შედეგის მისაღწევი სასწავლო რესურსების ჩამონათვალს. შპს ,,თბილისელები პრინტთან‘‘ დადებულია ხელშეკრულება 2019 წელს რომლის მოქმედების ვადა 5 წელია,დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია პროგრამის განხორციელების უწყვეტობის მიზნით გათვალისწინებული იყოს პროგრამის განხორციელების მინიმუმ სრული ციკლი (ინტეგრირებულისთვის 3 წელი)და ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შევიდეს შესაბამისი ცვლილება,რაზეც დაწესებულება დაგვეთანხმა და გაიზიარა აღნიშნული რეკომენდაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სსიპ კოლეჯ ,,მერმისის'' შენობაში **AB** გარემო წარმოდგენილია ინტეგრირებული კომპიუტერული სასწავლო სახელოსნოთი (20+1 კომპიუტერი);

C გარემო: Fablab-ი ; ხატვის ოთახი.

ზოგადი ინტეგრირებული მოდულებისათვის განკუთვნილი სივრცეები:

ა) ქიმიის ლაბორატორია (AC გარემო); ბ) ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორია (AC გარემო) ; გ) გეოგრაფიის აუდიტორია (A გარემო)

თითოეულ სასწავლო გარემოში სამუშაო ადგილების რაოდენობა არის 20.

,,გრაფიკული დიზაინის შესრულება'' პროგრამის **არაინტეგრირებული** სასწავლო გეგმით სწავლებისას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს **20 სტუდენტს ერთ ცვლაში, ხოლო ორ ცვლაში 40 სტუდენტს.**

,,გრაფიკული დიზაინის შესრულება'' პროგრამის **ინტეგრირებული** სასწავლო გეგმით სწავლებისას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს **20 სტუდენტს ერთ ცვლაში, ხოლო ორ ცვლაში 40 სტუდენტს.**

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,, გრაფიკული დიზაინის შესრულება'' მდგრადობის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამის დანართიN 3-ით განსაზღვრულია მოდულების მინიმუმ ორი განმახორციელებლი მასწავლებელი.

ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 30 შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებელი , მათ შორის ინტეგრირებული სასწავლო პროგრამის მოდულების განმახორციელებელი 16 მასწავლებელია, (თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი) .დაწესებულებაში 3 პროგრამაზეა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები ინტეგრირებული, მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 სთ.

საერთო პროფესიული მოდულის განხორციელებაში 14 პირია ჩართული , მათ შორის 4 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი. ექსპერტთა მოსაზრებით, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

სსიპ -კოლეჯი ,,მერმისის" პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების '' კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 11 დეკემბრის N 04-446 ბრძანების 2.27 მუხლით დადგენილია პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მასწავლებლეთა პირადი საქმეების შესწავლით, სადაც წარმოდგენილი იყო კვალიფიკაციის დამადასტურებელი,ტრენიგნების გავლის, სამუშაო გამოცდილების და სხვ. დოკუმენტები და პედაგოგებთან შერჩევითი პრინციპით ჩატარებული გასაუბრებით, დასტურდება, რომ მასწავლებლებს აქვთ კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია, გამოიკვეთა, რომ პროფესიული განვითარების თვალსაზრისით მასწავლებლები გადიან სხვადასხვა ტრენინგებს, რომელსაც აქტიურად ნერგავენ სასწავლო პროცესში. ინტერვიუს მიმდინარეობისას გაირკვა, რომ მოდულის განმახორციელებლები იცნობდნენ მოდულის შინაარსს, გააჩნდათ მისი განხორციელების კომპეტენცია, გააზრებული ჰქონდათ მოდულის განხორციელების მიდგომები, იცნობდნენ ინტერაქტიული სწავლების მეთოდებს, კომპლექსური დავალებების პრაქტიკაში დანერგვისა და შეფასების წესებს.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის შესრულების“ დამტკიცების ბრძანებით,პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. პროგრამას ჰყავს პრაქტიკული გამოცდილების მქონე, დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან , ინტერვიუირებისას გამოიკვეთა , რომ კოლეჯის პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს, მონაწილეობას იღებდა პროგრამის შემუშავებაში და აცხადებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მზაობას იმუშაოს პროგრამის განვითარების მიმართულებით როგორც პროგრამის შეფასების, განვითარების, ასევე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

დაწესებულებას კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 26 ნოემბრის N 04-330 ბრძანებით დამტკიცებული აქვს,, სსიპ კოლეჯი ,,მერმისის“ ბიბლიოთეკის დებულების, ბიბლიოთეკის ფონდით და სამკითხველო დარბაზით სარგებლობის წესი“,რომლითაც განსაზღვრულია კოლეჯის ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.ბიბლიოთეკაში განთავსებულია ქსელში ჩართული კომპიუტერები.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას აქვს ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განხორციელების მიმართულებით კარგი პრაქტიკა.ევროპული განვითარების ფონდის მიერ კოლეჯი ,,მერმისის" მაგალითზე ინკლუზიური პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
განათლება საუკეთესო, ინოვაციურ და კავკასიის რეგიონში ერთ-ერთ პირველ წარმატებულ ინიციატივად დასახელდა, კოლეჯს ჰყავს სსსმ და შშმ სტუდენტების მხარდასაჭერად ინკლუზიური განათლების გუნდი.შენობა სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირების საჭიროებების და მოთხოვნილების შესაბამისად.დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულია ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ,სადაც განსაზღვრულია სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები.დაწესებულებაში დასაქმებულია ინკლუზიური განათლების კოორდინატორი,ინკლუზიური განათლების სპეციალისტი,ჟესტური ენის თარჯიმანი,სსსმ პირთა ასისტენტი.სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის მიხედვით დადგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის პროცედურები.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადის მიხედვით (დანართი N5 პროგრამის ბიუჯეტი), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება“ ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შევსებული ბიუჯეტით.დადგენილია რენტაბელობის ზღვარი.

დაწესებულების ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან და მისი მთავარი შემოსავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
წყაროა სწავლის საფასური/ვაუჩერია.წარმოდგენილია საპროგნოზო ბიუჯეტი როგორც ინტეგრირებული, ასევე არაინტეგრირებული სასწავლო პროგრამებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯის ,,მერმისი“ დირექტორის 2019 წლის 31 მაისის N 04-164 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინის შესრულება „ (ცვლილება ბრძანება N 04-417 ; 22.12.2021);
- სსიპ კოლეჯის ,,მერმისი: დირექტორის 2021 წლის 11 დეკემბრის N 04-446 ბრძანება ,, სსიპ კოლეჯი ,,მერმისი“ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ“;
- სსიპ კოლეჯის ,,მერმისი“ დირექტორის 2021 წლის 2 ოქტომბრის N 04-344 ბრძანებით დამტკიცებული ,, სსიპ კოლეჯი ,,მერმისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- სსიპ კოლეჯის ,,მერმისი“ დირექტორის 2020 წლის 26 ნოემბრის N 04-330 ბრძანებით დამტკიცებული ,, სსიპ კოლეჯი ,,მერმისი“ ბიბლიოთეკის დებულების, ბიბლიოთეკის ფონდით და სამკითხველო დარბაზით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“;
- თანამშრომელთა პირადი საქმეებით და შრომითი ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუირების შედეგებით.

შეფასება:

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

თარიღი:

18.02.2022წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: